



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის
საბჭოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ



მოგესალმებით,

მოგეხსენებათ, 2016 წელს გენდერული თანასწორობის შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაევალა გენდერული საბჭოების შექმნა,

საკრებულოს განკარგულებით დამტკიცდა საბჭოს დებულება, განისაზღვროს საბჭოს წევრთა რაოდენობა 28 წევრით. აქედან 16 ქალი და 12 კაცი.

კანონის შესაბამისად დამტკიცდა სამოქმედო გეგმა. განისაზღვრა ძირითადი მიმართულებები. გენდერული საბჭოს წევრები აქტიურად ჩაერთნ თავიანთი პროფესიისა და ინტერესების მიმართულებით. თუმცა ადგილობრივ დონეზე არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების როლი და უფლება - მოვალეობები საკმაოდ ზოგადია იმისათვის, რომ ეფექტიანად იმუშაონ და ხელი შეუწყონ ქვეყანაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის მიღწევას.

ადგილობრივი თვითმმართველობა წარმოადგენს მოქალაქესთან ყველაზე უფრო ახლო მდგომ ხელისუფლებას, პირველ რიგში სწორედ თვითმმართველობის მიერ უნდა მოხდეს დისკრიმინაციისაგან დაცვა.

1991 წლიდან აღინიშნება მთელ მსოფლიოში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანია, რომელიც ხორციელდება 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით და ემსახურება საზოგადოების ცხოვრების ცნობიერების ამაღლებას. სპეციალურად ამ კამპანიისთვის შეიქმნა ინტერაქტიული ვებგვერდი და სატელევიზიო ვიდეორგოლი. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ კამპანია მსოფლიო მასშტაბით ტარდება. საქართველოში ის შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და usaid-ის მხარდაჭერით ხორციელდება. გაეროს გენერალურმა ანსამბლემ, 25 ნოემბერი, ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის საერთაშორისო დღედ გამოაცხადა. (ამ დღის მიზანია ის, რომ ხშირად ქალები მთელს მსოფლიოში გაუპატიურების, ოჯახში ძალადობისა და სხვა ფორმის მსხვერპლნი ხდებიან).

2011 წლის 7 აპრილს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კონვენცია, „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“

ამავე წლის 11 მაისს კონვენციას სტამბულში მოეწერა ხელი (სტამბულის კონვენცია) ხოლო საქართველომ 2014 წლის 19 ივნისს მოაწერა ხელი და რატიფიცირება 2017 წლის მაისში მოახდინა.

საქართველოს კანონი განსაზღვრავს „ქალთა მიმართ ან და ოჯახში ძალადობას აღკვეთის, ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

კანონის მიზანია, ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით, მათი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეკრულებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის უზრუნველყოფა.

*ოჯახში ძალადობის დეფინიცია

*მსხვერპლი და მოძალადე

*ოჯახის წევრის ცნება

*ძალადობის ფორმები

*დამცავი და შემაკავებელი ორდერები

*თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი

ოჯახში ძალადობა გულისხმობს, ოჯახის ერთი წევრის მიერ, მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დარღვევას, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ქალთა მიმართ ძალადობის, ანდა ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია დროებითი ღონისძიებების სახით, გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

მ/წლის დეკემბრის თვეში, ხარაგაულის შს სამმართველოს მიერ რეგისტრირებულია, ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოცემული 32 შემაკავებელი ორდერი, სადაც მსხვერპლად ფიქსირდება ქალი, ხოლო 1 შემაკავებელი ორდერი გაცემულია, არა ოჯახის წევრის მიმართ, აქაც ძალადობის ფაქტზე ქალი ფიქსირდება.

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. ამ მიმართულებით, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემულია 3 დამცავი ორდერი. მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ საქართველოს შს სამინისტროს შესაბამისი ორგანოები, და სასამართლო ორგანო.

ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას ახდენს ასევე, გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისო კომისიასთან არსებული ქალთა მიმართ ძალადობის, მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი.

2006 წელს შექმნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი „თავშესაფარი“, რომელიც გაიხსნა ბათუმში, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე დაცვის ღონისძიებებს: „თავშესაფარი“ გახსნილია, თბილისში, სიღნაღში, გორში, ბათუმსა და ქუთაისში.

2015 წელს თბილისში შეიქმნა ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა დღის მომსახურების გაწევის „კრიზისული ცენტრი“, რომელიც ასევე პირველად და გადაუდებელ სამედიცინო და სამართლებრივ დახმარებას უწევს.

2016 წლის 12 სექტემბრის საქართველოს მთავრობის N 437-ე დადგენილებით, დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, რომელიც მოიცავს:

*ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას

*ბავშვის მდგომარეობის შეფასებას

* ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას. ხშირად ბავშვების დიდი ნაწილი ძალადობის მსხვერპლი ხდება საკუთარ ოჯახებში მათთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანების მხრიდან. მშობლები ვერც კი აცნობიერებენ, რომ ბავშვის აღზრდისას იყენებენ ძალადობრივ მეთოდებს და ამით უდიდეს ზიანს აყენებენ მას.

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გამოვლენილია 3 ფაქტი, რაზედაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. აქედან 2 არის ნაადრევ ქორწინებაზე. სოციალური

სამსახურის მონაცემებით, მინდობით აღზრდაზე შემოსული 7 განცხადებიდან 2 არასრულწლოვანი არის ერთი დედამამიშვილი და გადანაწილებული არიან სხვადასხვა ოჯახებში, ასევე ოჯახური დავებით დაკავშირებით, სოციალური მუშაკი აქტიურადაა ჩართული სადაც 3 ფაქტი ფიქსირდება.

ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი, რომელიც ქუთაისშია, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ World Wision“ ხელმძღვანელობს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან 8 ოჯახს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება (სასკოლო მაგიდები, სკამები და სხვა...) . მოგახსენებთ, რომ სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მყარ საფუძველს, რომელიც დიდად განსაზღვრავს ბავშვის წარმატებას, როგორც სკოლაში, ასევე შემდგომ ცხოვრებაში. ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭოს და პროფესიული კოლეჯის „კონსტრუქტ2“ ერთობლივი ინიციატივით, სოფელ ვარძიასა და ხიდარში მოსახლეობასთან პროფესიული ორიენტაციის შეხვედრები გაიმართა. გენდერული თანასწორობის საბჭო მაქსიმალურად ცდილობს თავის შესაძლებლობების ფარგლებში ხელი შეუწყოს მოსახლეობის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობას და ამ კუთხით მოსახლეობის ინფორმირებას. შეხვედრაზე გამოიკვეთება, რომ მოსახლეობა ნაკლებად ფლობს ინფორმაციას პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით. ზესტაფონის სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ ორიენტირებულია ქვეყანაში საამშენებლო მიმართულების განვითარებაზე და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. შეხვედრაზე განსაკუთრებით აღინიშნა ის შესაძლებლობები , რასაც კოლეჯი „კონსტრუქტ2“ , ქალებს სთავაზობს. კოლეჯში ჩარიცხულ პირველ 15 ქალბატონს UN Women და ფონდი „ტასო“ სწავლის დაწყების პირველივე დღიდან დაუნიშნავს სტიპენდიას. ახალგაზრდებს, პროფესიული განათლების მნიშვნელობაზე ესაუბრნენ, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით კვიციანი. შეხვედრის ფარგლებში, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა-თეონა გაბუნიაშვილმა ვრცლად ისაუბრა კოლეჯის შესახებ და მოსახლეობას გააცნო ის ბენეფიტები , რომელსაც „კონსტრუქტ2“ სწავლის მსურველებს სთავაზობს. კოლეჯი აღჭურვილია უახლესი სტანდარტების შესაბამისი სასწავლო ინვენტარითა და ულტრათანამედროვე მანქანა-დანადგარებით. საერთო საცხოვრებელი, კეთილმოწყობილი და გამწვანებული ეზო, მოსასვენებელი სივრცე და უახლესი ლიტერატურითა და ტექნიკის აღჭურვილი ბიბლიოთეკა.



ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი, რომელიც ქუთაისშია, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ World Wision“ ხელმძღვანელობს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან 8 ოჯახს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება (სასკოლო მაგიდები, სკამები და სხვა...) . მოგახსენებთ, რომ სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მყარ საფუძველს, რომელიც დიდად განსაზღვრავს ბავშვის წარმატებას, როგორც სკოლაში, ასევე შემდგომ ცხოვრებაში.

მ/წლის 6 მარტს ხარაგაულის ყველა საბავშვო ბაღებში , გენდერული საბჭოს წევრის ბატ-ნი მამუკა ჭიპაშვილის ინიციატივით, მოეწყო აქცია-„ერთი დღით მამაკაცები აღმზრდელებად“ რამაც

საზოგადოებაში დადებითი ემოციები გამოიწვია. მამები ბავშვებთან ცოტა დროს ატარებენ, ამიტომ მათი სააღმზრდელო პროცესებში ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის შრომა საბავშვო ბაღებში ჯეროვნად დაფასდეს.

გენდერული საბჭოს წევრებისა და სკოლამდელი დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში განხორციელდა პროექტი „მამა მიკითხავს ზღაპარს“ პროექტის მიზანია:

- ბავშვთა აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში მამაკაცების ჩართულობის გაზრდა და მოტივაცია.
- გენდერულად ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდის პოლიტიკის დანერგვა და წახალისება.
- გარკვეულწილად სტერეოტიპის დამსხვრევა, რომ პროფესია, „საბავშვო ბაღის აღმზრდელი“ შესაძლებელია იყოს როგორც ქალბატონი, ასევე, მამაკაცი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია მამების ჩართულობა, საზოგადოებამ კი ამით დაინახა, რომ საბავშვო ბაღის აღმზრდელობა მხოლოდ დედის პროფესია არ არის, ბავშვის აღზრდაში მშობლები თანაბრად უნდა მონაწილეობდეს 2019 წელს „არავინ დატოვო მიღმა, რაც გულისხმობს გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების პროცესში, დაუნის სინდრომის მქონე ყველა ადამიანისთვის განვითარების თანაბარი შესაძლებლობების მიცემას და თანასწორი გარემოს შექმნას, რაც გამოიხატება.

*პიროვნული განვითარების

*განათლების ხელმისაწვდომობის

*ჯანმრთელობის დაცვის

*სამუშაო და საცხოვრებელი გარემოსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაში.

*ხარაგაულის გენდერული თანასწორობის საბჭო უერთდება დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს! „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“.

21 მარტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეა



მ/წლის 4 აპრილს, გენდერული თანასწორობის საბჭოს და საბჭოს წევრის, გიორგი მუხურაძის ორგანიზებით ხარაგაულში, კინოთეატრის წინ მოეწყო აქცია „თბილი ხელები“. იდეის გარშემო ამჯერად საბჭოს წევრები ერთიანდებიან. საბჭოს წევრებმა შეაგროვეს ტანსაცმელი სხვადასხვა ასაკის ადამიანებისათვის, კინოთეატრის შესასვლელში რომლებსაც დახმარება ესაჭიროებოდათ



მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, შეუერთდა გაეროს, ყოველწლიურ საერთაშორისო კამპანიაში „დავასუფთაოთ მსოფლიო“ და „მსოფლიო დასუფთავების დღე“



*საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებმა 17.07 შეხვედრა გამართეს საკრებულოში, რომელსაც დეპუტატები და გენდერული საბჭოს წევრები ესწრებოდნენ

პროექტის ამოცანა იყო:

*სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში.

*ადგილობრივ დონეზე შემოსავლის მომტანი აქტივობების ხელშეწყობა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვა სიღარიბით გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევების შესამცირებლად.

*მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით.

ასევე აქტიური საბჭოს წევრის სპორტსკოლის წარმომადგენელის მერაბ იჩქიტაძის, ინიციატივით, კინოთეატრში გაიმართა შეხვედრა გაეროს ქალთა ორგანიზაციის და რაგბთა კავშირთან ერთად, რომელიც 2010 წლიდან , ქვეყნის მასშტაბით ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ახორციელებს ინოვაციურ კამპანიას.

კამპანიის მთავარი მიზანია, მოზარდებში რაგბის მთავარი ღირებულებების: თანასწორობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის ნულოვანი ტოლერანტობის გაზიარება



ქალთა ლიდერობა და პოლიტიკური გაძლიერება - ასეთი იყო ტრენინგის თემა, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისათვის გაიმართა მ/წლის 2019 წლის 6 აპრილს საერთაშორისო ორგანიზაციათა ქსელის (wlp) გლობალური, დამოუკიდებელი ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის, რომლებიც ეხმარებიან ინდივიდებს და ორგანიზაციებს ქალთა წინსვლის ხელშეწყობის მიზნით. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები



ა/წლის 8 აგვისტოს ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრის და გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთობლივი ინიციატივით გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს. დაბა ხარაგაულში მცხოვრებმა ქალებმა: ნაქსოვები, ნაქარგები, მაკრამე, თეჯა და ხელნაკეთი სამკაულები. ღონისძიებას ხელმძღვანელობდნენ ზრდასრულთა განათლების ცენტრის ხელმძღვანელობა გიორგი მუხურაძე და მანანა ტაბეშიძე, რომლებიც ჩვენი გენდერული საბჭოს წევრები არიან.



ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მ/წლის 14 აგვისტოს, გენდერული საბჭოს თავ-რის მოადგილის ინიციატივით (დავით კიკნაძე) მოეწყო სპორტული შეჯიბრი სროლაში, სადაც მამაკაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით (სურათები)



კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფ-სის , გენდერული საბჭოს წევრის ქ.ნ ირინა ჩხეიძის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან , პედაგოგებთან, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პოლიციის წარმომადგენლებთან. ნაჩვენები იქნა ნაწყვეტი სპექტაკლიდან „ორნი“ , რომელიც ოჯახში ძალადობას ეხება.



სათნოების სახლის ბენეფიციარებისათვის 22 ოქტომბერს, რ. თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის ხელმძღვანელმა, გენდერული საბჭოს წევრმა იზა ვეფხვაძემ „ჩვენ დავბერდებით“ ამ პროექტით, რომლის მიზანია ნაბიჯების გადადგმა ხანდაზმულთა რესოციალიზაციისა და აქტიური დაბერების ხელშეწყობისათვის გარემოს შესაქმნელად, მათი კულტურულ აქტივობებში ჩართვა და თაობებს შორის დიალოგების გაგრძელება (სურათი)



მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, აქტიურად ჩაერთო სოფლად მცხოვრები ქალების, საერთაშორისო დღის აღსანიშნავად. ვეწვიეთ სოფ.ნებოძირში მცხ. ქალბატონებს, გავეცანით მათი ყოველდღიურ საქმიანობას, იყო კეთილი განწყობა, თხოვნა რომ საბავშვო ბაღის გახსნის ან მუნიციპალური ტრანსპორტის დაფინანსება მომხდარიყო ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.

შეხვედრის შემდეგ ქ.ნმა იზა ვეფხვაძემ წარმოადგინა სპექტაკლი „ხარაგაულის სევდიანი სადგური“



დასრულდა 16 დღიანი კამპანია, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე, რომელიც ქალთა უფლებების ირგვლივ სამოქალაქო კონსოლიდაციის გამლიერებაა. 1991 წლიდან დღემდე ეს კამპანია ყოველ წელს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს, 25 ნოემბერს იწყება და 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებების საერთაშორისო დღეს სრულდება. ამ კამპანიის ფარგლებში მ/წლის 2 დეკემბერს ხარაგაულის ზრდასრულთა ცენტრში, საჯარო მოხელეებისათვის ვიდეორგოლის „სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში“

ჩვენება გაიმართა. 3 დეკემბერს კი ხარაგაულის კინოთეატრში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირების ხელშესაწყობად, მოსწავლეებისათვის თეატრალური პერფორმანსი გაიმართა. (სურათი)



ჩვენ კარგად გვესმის, რომ მოქალაქეთა კეთილდღეობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ძალისხმევით და რესურსების გაერთიანებით, სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებზე, სისტემატიური დიალოგით, მოსახლეობის ყველა ჯგუფის მხარდაჭერითა და გამლიერებით.